# შპს „სოფმარ 2020“

ს/კ 415107379

ქ.ფოთი,თავისუფალი ინდ.ზონა,

(ნავსადგურის ყოფილი ექსტენსიური

განვითარების ზონა)

შიდა № 1B-7T/421

---

№

21.07.2020

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის
მეურნეობის მინისტრის მოადგილეს
ქალბატონ ნინო თანდილაშვილს

თქვენი 2020 წლის 8 ივლისის№ 6387/01
წერილის თაობაზე, რომელიც ეხება ამწერილში
მოცემული საკითხების გათვალისწინებით
,,გარემოსდაცვითი შეფასებისკოდექსით”
დადგენილი წესით დაზუსტებული დოკუმენტაციის
სამინისტროში წარმოდგენას

ქალბატონო ნინო,

თქვენი 2020 წლის 8 ივლისის № 6387/01 წერილის შესაბამისად სამინისტრომ განიხილა ჩვენი წლის 3 ივლისს თქვენ მიერ წარმოდგენილი N10062 წერილი, რომელიც ეხება ნაყარი ტვირთების დროებითი შენახვის, დახარისხებისა და გადატვირთვის პუნქტის მოწყობა-ექსპლუატაციის პროექტს.

აღნიშნული სკრინინგის განცხადება სამინისტროში წარმოდგენილია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ II დანართის მე-5 პუნქტის 5.1 ქვეპუნქტის მიხედვით, რომელიც გულისხმობს სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავებას და თქვენი 2020 წლის 8 ივლისის № 6387/01 წერილის შესაბამისად დაგეგმილი საქმიანობა - ნაყარი ტვირთების დროებითი შენახვა, დახარისხება და გადატვირთვა არ შეესაბამება „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ II დანართის მე-5 პუნქტის 5.1 ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობას, რადგანაც დაგეგმილია სპილენძის, თუთიის და მვირფასი ლითონების კონცენტრატების დროებითი შენახვა, დახარისხება და გადატვირთვა. ხოლო აღნიშნული კონცენტრატები წარმოადგენს ქიმიურ ნივთიერებას/პროდუქტს და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ II დანართის მე-6 პუნქტის 6.3 ქვეპუნქტის მიხედვით ნავთობისა და ნავთობპროდუქტის, ნავთობქიმიური ან/და ქიმიური პროდუქტის საცავის მოწყობა და ექსპლუატაცია ამავე კოდექსის მე-7 მუხლის შესაბამისად საჭიროებს სკრინინგის პროცედურის გავლას, ხოლო „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ I დანართის 29-ე პუნქტის თანახმად,

1 000 მ³ ან მეტი ჯამური მოცულობის წიაღისეული საწვავის ან/და ქიმიური პროდუქტების საცავის მოწყობა და ექსპლუატაცია ექვემდებარება გარემოზე ზემოქმედების შეფასებას და სამინისტროში სკოპინგის ანგარიშის წარმოდგენას.

ამდენად, თქვენი 2020 წლის 8 ივლისის № 6387/01წერილში მოცემული საკითხების გათვალისწინებით, დაგეგმილი საქმიანობის განმახორციელებელმა შ.პ.ს. „სოფმარ 2020"-მა კანონმდებლობის დადგენილი წესით სამინისტროში განსახილველად უნდა წარმოადგინოს შესაბამისი დოკუმენტაცია და სამინისტრო ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს ზემოაღნიშნული საკითხების გათვალისწინებით ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით" დადგენილი წესით დაზუსტებული დოკუმენტაციის სამინისტროში წარმოდგენის შემდეგ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კიდევ ერთხელ ავღნიშნავთ რომ შ.პ.ს. „სოფმარ 2020"-ის საქმიანობის სფეროა ნაყარი ტვირთების (სპილენძის, თუთიის და ძვირფასი ლითონების კონცენტრატები) დაგროვება-შენახვა, სპილენძის კონცენტრატის დახარისხება ანუ სხვადასხვა კონცენტრაციის სპილენძის კონცენტრატის ერთმანეთში არევა (blendig) და ნაყარი ტვირთების (სპილენძის, თუთიის და ძვირფასი ლითონების კონცენტრატები) გადატვირთვა შემდგომი ექსპორტირებისთვის.

შ.პ.ს. „სოფმარ 2020"-ის ცალსახა პოზიციაა, რომსპილენძის, თუთიის და ძვირფასი ლითონების კონცენტრატი არ წარმოადგენს ქიმიურ ნივთიერებას/პროდუქტს, რადგანაც სპილენძის, თუთიის და ძვირფასი ლითონების კონცენტრატი ფაქტიურად წარმოადგენს სასარგებლო წიაღისეულის (მადნების) გამდიდრების გზით(ფლოტაცია) მიღებულ პროდუქტს.

ამასთან მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომსაქართველოს ფინანსთა მინისტრის2012 წლის 11 ივლისის №241 ბრძანებით დამტკიცებული საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ) მიხედვით ზემოაღნიშნული ნედლეულის ქვეყანაში იმპორტირება და ქვეყნიდან ექსპორტირება ხდება კოდებით:

- კოდით 2603 00 000 00 სპილენძის მადნები და კონცენტრატები(საქონლის ჯგუფი 26 - მადნები, წიდა და ნაცარი);
- კოდით 2608 00 000 00 თუთიის მადნები და კონცენტრატები;
- კოდით 2616 90 000 00 ძვირფასი ლითონების კონცენტრატები.

რაც შეეხება "ქიმიური და მასთან დაკავშირებული მრეწველობის დარგების პროდუქცია"-ს, აღნიშნული საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ) მიხედვითცალკე არის განსაზღვრული სეს ესნ-ის VI კარში.

აქვე აღსანიშნავია, რომ დღეისათვის საქართველოს ტერიტორიის გავლით სრულდება წერილწადში დაახლოებით 500 000 ტ ფერადი ლითონების კონცენტრატების ტრანზიტ-იმპორტ-ექსპორტი. საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი კომპანიები აწარმოებენ აღნიშნული ნაყარი ტვირთების მიღებასროგორც მადანის და კონცენტრატების ნედლეული(შემდგომში დროებითი შენახვა, დახარისხება, რეალიზაცია)და არა როგორც ქიმიურ ნივთიერებები/პროდუქტი. შესაბამისად ამ კომპანიებს ქიმიური ნივთიერებების საცავებთან დაკავშირებით გარემოსდაცვითი ნებართვები არ გააჩნიათ.

გამომდინარე იქედან, რომ სამინისტროში წარმოდგენილი სკრინინგის განცხადების განხილვის შედეგად დადგინდა, რომ დაგეგმილი საქმიანობა არ შეესაბამება „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" II დანართის მე-5 პუნქტის 5.1 ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობას და ამასთან, თუ კომპანიის მხრიდან წარმოდგენილი არგუმენტაციები ფერადი ლითონების კონცენტრატებთან დაკავშირებით სამინისტროს მიერ გათვალისწინებული იქნება, დაგეგმილი

საქმიანობა დადგენილი საქმიანობა არ უნდა დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას.

გთხოვთ თქვენს მოსაზრებას და გადაწყვეტილებას ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით.გთხოვთ თქვენს მოსაზრებას და გადაწყვეტილებას ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით.

შპს „სოფმარ 2020 “-ის დირექტორი ვალერი მიქაია

(ტელეფონი: 571650468)